პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 13 აგვისტო, 1943 წ. № 170 (6795). ფასი 20 კაპ.

ჯართის შეგროვება საერთო-სახელმწიფოებრივი საქმეა

თანამედროვე ომი, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, მოტორების ომია. ასეთი ომი მოითხოვს ლითონის უზარმაზარ მასებს, საჭიროა ფოლადისა და თუჯის უდიდესი რაოდენობა იმ რთული სამხედრო ტექნიკისათვის, რომლითაც შეიარაღებულია ჩვენი ძლევამოსილი არმია. შავი მეტალურგიის შეუფერხებელი მუშაობის, მისი შემდგომი განვითარებისა და განუწყვეტელი ზრდის საქმეში ჯართის შეგროვებას, მის დახარისხებას, გადამუშავებას, თავდაცვითი საწარმოებისათვის ჩაბარებას, ზამთრისათვის ლითონის ნარჩენების საკმაო მარაგის შექმნას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ლითონის ჯართით შავი მეტალურგიის მომარაგება ვიწრო უწყებრივი საქმე როდია. იგი საერთო-სახელმწიფოებრივი საქმეა, უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანაა.

დადასტურებულია, რომ ერთი ტონა ჯართი ათავისუფლებს ერთ ტონა თუჯს. მარტო აქედან გასაგები ხდება ის მნიშვნელობა, რასაც ჯართის შეგროვება წარმოადგენს. ჯართი, ლითონის ნარჩენები უდიდესი რაოდენობით არის ჩვენს ქვეყანაში. მას დიდი რაოდენობით აგროვებენ ჩვენი საწარმოები. ამ საქმეში გარკვეული როლი შეასრულეს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, მათ მიერ მოწყობილმა კვირაობებმა. მაგრამ ეს არ კმარა, ომი გრძელდება და სულ უფრო მეტი რაოდენობით არის საჭირო შავი მეტალურგიის უზრუნველყოფა ლითონის ჯართით, რათა შემტევმა წითელმა არმიამ განუწყვეტელ მზარდ ნაკადად მიიღოს პირველხარისხოვანი თვითმფრინავები და ტანკები, რისთვისაც საჭიროა ფოლადის უდიდესი რაოდენობა, მიიღოს ნაღმები და ყუმბარები, რისთვისაც საჭიროა დიდძალი თუჯი. ამასთან, საჭიროა ყოველთვის კარგად გვახსოვდეს, რომ ლითონის ჯართი სტრატეგიული ნედლეულის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახეა და მისი შეგროვება ნიშნავს ზრუნვას წითელი არმიის, ფრონტის მოსამარაგებლად.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაავალა უზრუნველჰყონ სისტემატიური კონტროლი ჯართის გადამუშავებისა და გაგზავნის გეგმის შესრულების მიმდინარეობაზე. გარდა ამისა, ჯართის შეგროვების, გადამუშავებისა და გადაზიდვის მესამე კვარტალის გეგმა გადიდებულია, რაც მოითხოვს მუშაობის მკვეთრად გაძლიერებას, რათა ეს გეგმა აუცილებლად შესრულდეს.

ჩვენი რესპუბლიკის ორგანიზაციებმა ცოტა რაოდენობით როდი შეაგროვეს ჯართი, რომელიც ჩააბარეს „გლავვტორჩერმეტის“ თბილისის კანტორის ბაზებსა და მიმღებ პუნქტებს. მაგრამ ზოგან სათანადოდ არ ფასებენ ჯართის შეგროვების სამეურნეო-პოლიტიკურ მნიშვნელობას. ჯართის შეგროვებისა და ჩაბარების მეორე კვარტალის გეგმის შესრულება გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოში (უფროსი ამხ. ჩხეიძე), ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირში“ (ამხ. დათუაშვილი), ტრესტ „ტყიბულქვანახშირში“, ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერკავკასიის რკინიგზაზე, ხრამჰესში, „სოიუზუტილის“ საქართველოს კანტორაში და ცეკავშირში ამ საქმეს არ ექცევოდა სათანადო ყურადღება. ეს ნაკლი დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას.

ჯართის შეგროვების შესახებ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისაგან მოითხოვს მუშაობის მკვეთრად გაძლიერებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას მესამე კვარტალის გადიდებული გეგმის შესრულება. საწარმოთა დირექტორებმა პირადად უნდა უხელმძღვანელონ შავი ლითონების არსებული ჯართის დახარისხებას, მის გაგზავნას დანიშნული მიმართულებით, უზრუნველყოფილ უნდა იქნას ჯართის მიზიდვა რკინიგზის სადგურებამდე, სსრ კავშირის „გლავვტორჩერმეტის“ ბაზებამდე. ხოლო იქ, სადაც რკინიგზის ტრანსპორტი არ არის, საჭიროა გამოყენებულ იქნას საქალაქო და რაიონული საჭაპანო ტრანსპორტი

სერიოზული სამუშაო აქვს „გლავვტორჩერმეტის“ თბილისის კანტორას (უფროსი ამხ. კვიტაშვილი). მან უნდა უზრუნველჰყოს ჯართის შემგროვებელი და ჩამბარებელი საწარმოები ცარიელი ვაგონებით. ამავე დროს კანტორის ბაზა და მიმღები პუნქტები დაუბრკოლებლად უნდა ღებულობდნენ, ამუშავებდნენ, ახარისხებდნენ და უგზავნიდნენ მომხმარებლებს შავი ლითონის ჯართს. კანტორამ უნდა განახორციელოს სისტემატური კონტროლი ჯართის შეგროვების გეგმის შესრულებაზე, გადამუშავებაზე და დანიშნული მიმართულებით გაგზავნაზე.

სახალხო კომისარიატების, ცენტრალური დაწესებულებების, საწარმოების ხელმძღვანელები, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციები ყველა ზომას უნდა ღებულობდნენ, რომ წარმატებით სრულდებოდეს ჯართის შეგროვების გეგმები. მაგრამ ჯართის მარტოოდენ შეგროვება როდი კმარა. თუ დაუხარისხებელი და დაუმუშავებელი ჯართი მივიცით მეტალურგიას, ეს დახმარება კი არა, ზედმეტი სიძნელეების შექმნა იქნება მისი ქარხნებისათვის.

რკინიგზელების, ტრანსპორტის მუშაკების ვალია სერიოზული ყურადღებით მოეკიდონ ჯართის გადაზიდვის საქმეს, ვინაიდან ეს იგივე საბრძოლო დავალებაა, ფრონტის შეკვეთების შესრულება.

უზრუნველვყოთ ჯართისა და შავი ლითონების ნარჩენების მესამე კვარტალის გადიდებული გეგმის შესრულება! მივცეთ შავი მეტალურგიის საწარმოებს ზამთრისათვის ჯართის საკმაო მარაგი! ეს უმნიშვნელოვანესი სამეურნეო - პოლიტიკური ამოცანაა, საერთო-სახელმწიფოებრივი საქმეა! ეს ფრონტისადმი, შემტევი წითელი არმისადმი დახმარებაა გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების სრული განადგურებისათვის!

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ **სტალინის** 5 აგვისტოს ისტორიულმა ბრძანებამ, წითელი არმიის წარმატებითი საბრძოლო მოქმედებების შედეგად ორიოლისა და ბელგოროდის განთავისუფლებამ მთელს ჩვენს ქვეყანაში უდიდესი აღფრთოვანება და ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. წითელი არმია წარმატებით მიიწევს წინ, მტრის მიერ დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ქალაქებსა და სოფლებს ათავისუფლებს საძულველი ჰიტლერელი ოკუპანტებისაგან. ახლოვდება მტრის სრული განადგურების ჟამი. ჩვენი ვალია გავაძლიეროთ შემტევი წითელი არმიისადმი დახმარება, მივცეთ მას სულ უფრო და უფრო მეტი თვითმფრინავები, ტანკები, ნაღმები და ყუმბარები. ამისათვის საჭიროა განუწყვეტლივ ვზრდიდთ ჩვენი შავი მეტალურგია, მოვამარაგოთ იგი რაც შეიძლება მეტი ჯართით და ლითონის ნარჩენებით.

ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა მიიღო დიდი ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი ა. ჯ. კერი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ვ. გ. სტენდლი

11 აგვისტოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა მიიღო დიდი ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი ა. ჯ. კერი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ვ. გ. სტენდლი.

მიღებას დაესწრო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი.

საკდესის ცნობა

ინგლისის რეიტერის სააგენტო, იმოწმებს რა ამერიკის რადიოსადგურ „კოლუმბიას“, იუწყება, რომ რუზველტისა და ჩერჩილის თათბირზე, რომელიც ქალ. კვებეკში (კანადა) უნდა შესდგეს, ნავარაუდევი იყო საბჭოთა მთავრობის მეთაურის მონაწილეობა.

მეორე მხრივ, ინგლისის გაზეთებმა „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტმა“, „დეილი ექსპრესმა“ და ზოგიერთმა სხვამ, გამოაქვეყნეს ცნობა, რომ საბჭოთა სამხედრო ატაშე დაესწრება ინგლის-ამერიკის მოლაპარაკებას კვებეკში როგორც მეთვალყურე.

საკდესის განკარგულებაში არსებული მონაცემებით, ეს ცნობები გაუგებრობაზეა აგებული. საბჭოთა მთავრობას არ მიუღია მიწვევა ამ თათბირზე, ვინაიდან კონფერენციის ხასიათის მიხედვით საბჭოთა მთავრობის რომელიმე წარმომადგენლის მონაწილეობა კვებეკის თათბირზე ნავარაუდევი არ ყოფილა და არ არის.

ფიზკულტურის მუშაკთათვის საპატიო სიგელების გადაცემა

გუშინ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გ. თ. სტურუამ სპორტი სიგელები გადასცა ფიზკულტურის მუშაკთა დიდ ჯგუფს, რომლებიც საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ფიზკულტურის მე-5 სრულიად-საკავშირო დღის აღსანიშნავად ფიზკულტურისა და სპორტის დარგში სანმაუწო მუშაობისათვის დაჯილდოებული არიან საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

ამხ. გ. თ. სტურუამ საპატიო სიგელი გადასცა ნ. მ. ბესტაევს, თ. დ. გეგელაშვილს, ვ. ა. გორგაძეს, გ. ს. ეგნატაშვილს, კ. გ. ზამბახიძეს, ი. დ. კიზირიას, გ. ი. მამაგეიშვილს, ა. ტ. ყვანიას, მ. ა. ყვანიას, დ. მ. სამუშიას, თ. ა. სხირტლაძეს, გ. ა. ფარულიას, ა. ბ. ჯაფარიძეს.

საპატიო სიგელების გადაცემის შემდეგ ამხ. გ. თ. სტურუამ დაჯილდოებულებს მიულოცა ჯილდო და უსურვა ახალი წარმატებები.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. მ. ა. გორგაძე, თ. ა. სხირტლაძე და სხვ.

საპატიო სიგელების გადაცემას დაესწრო საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ვ. ეგნატაშვილი.

უკანასკნელი ცნობები

ჩერჩილი კანადაში

ლონდონი, 12 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს კვებეკში გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ დღეს დილით იქ შესდგა ინგლისის მთავრობის სამხედრო კაბინეტისა და კანადის სამხედრო კომიტეტის გაერთიანებული სხდომა. სხდომაზე, რომელიც თითქმის 3 საათს გაგრძელდა, განხილულ იქნა ომის პრობლემები მთლიანად და ყველა ის საკითხი, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ ორივე მთავრობისათვის. მალე უნდა შესდგეს მეორე გაერთიანებული სხდომა.

ოფიციალურად გამოცხადდა აგრეთვე, რომ კვებეკში მალე ჩავა რუზველტი.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა ნიურნბერგზე

ლონდონი, 12 აგვისტო (საკდესი). ავიაციის სამინისტროს ცნობით, ინგლისის ბომბდამშენებმა 10 აგვისტოს ღამით მოახდინეს ძლიერი თავდასხმა სამხრეთ გერმანიის ერთ-ერთ უდიდეს სამრეწველო და სარკინიგზო ცენტრზე—ნიურნბერგზე. ქალაქს დააყარეს 1.500-ზე მეტი ტონა ბომბი, ბევრგან გაჩნდა დიდი ხანძარი და მოხდა აფეთქებანი. ამ ოპერაციიდან თავის ბაზებში არ დაბრუნებულა 16 ბომბდამშენი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

11 აგვისტოს ოპერაციული ცნობა

11 აგვისტოს განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრიანსკის მიმართულებით განაგრძობდნენ შეტევას და, წაიწიეს რა წინ 6-დან 10 კილომეტრამდე, დაიკავეს 70-ზე მეტი დასახლებული პუნქტი და მათ შორის რაიონული ცენტრი სოსკოვო, დიდი დასახლებული პუნქტები ალექსეევკა (18 კილომეტრზე კარაჩოვის აღმოსავლეთით), ბოგბოროდიცკოე, იასონტოვო, პიატნიცკოე, ხოტკოვო, მიცკოე.

ხარკოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის წარმატებით განვითარებას და, წაიწიეს რა წინ 15-დან 20 კილომეტრამდე, დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი ახტირკა, ქალაქი კრასნოკუტსკი, დიდი დასახლებული პუნქტები: პარხომოვკა, ალექსეევკა, ვისოკოპოლიე, კოვიაგი, რუსკოე ლოზოვოე, რუსკიე და ჩერკასკიე ტიშკი (12 კილომეტრზე ხარკოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით), ნეპოკრიტაია, ბოლშაია გაბკა, კოჩეტოკი. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს აგრეთვე რკინიგზის სადგურები ვოდიანაია, კოვიაგი და ამ რაიონში გადასჭრეს ხარკოვ-პოლტავის რკინიგზა.

სხვა ფრონტებზე ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლით დაზვერვას და საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლას მტერთან.

10 აგვისტოს განმავლობაში ყველა ფრონტზე ჩვენმა ჯარებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 85 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 86 თვითმფრინავი.

* * *

ბრიანსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას.

დაიკავეს რა რაიონული ცენტრი და სადგური ხოტინეცი. საბჭოთა ჯარებმა დასძლიეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა, გადალახეს ძლიერ დანაღმული უბნები, წინ წაიწიეს და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები, მათ შორის რაიონული ცენტრი სოსკოვო, დიდი დასახლებული პუნქტი ალექსეევკა (18 კილომეტრზე ქალაქ კარაჩოვის აღმოსავლეთით). 6 შენაერთმა ამ ბრძოლებში მოსპო 2.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მტერს წვავრთვით სხვადასხვა ყალიბის 20 ქვემეხი, 20 ნაღმსატყორცნი, 120 ტყვიამფრქვევი, რამდენიმე ათეული ავტომანქანა და 3 საწყობი სამხედრო ქონებიანად. გვარდიის 6 ნაწილის ქვეგანაყოფებმა მოიგერიეს მტრის გაფფრთებული კონტრიერიონი და მოსპეს გერმანელთა 11 ტანკი, მათ შორის 4 ტანკი „ვეფხვის“ ტიპისა, 1 თვითმავალი და 3 ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი. გვარდიის წითელარმიელმა ამხ. მიასნიკოვმა გერმანელების მიერ დაკავებულ სოფელში შეაღწია, დღის განმავლობაში დაკვირვებას ეწეოდა, ხოლო ღამით თავის ნაწილში დაბრუნდა. მიიღეს რა ზუსტი ცნობები მტრის შესახებ, ჩვენმა ქვეგანაყოფებმა უეცარი დარტყმით განდევნეს გერმანელები სოფლიდან და ხელთ იგდეს 6 სავსებით ვარგისი ტანკი და 12 ჯავშნიანი მანქანა.

კომის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მტრის რამდენიმე კონტრიერიში, წინ წაიწიეს და დაიკავეს ორი დასახლებული პუნქტი, რომლებიც ქალაქ დმიტროვსკ-ორლოვსკის მახლობლად მდებარეობენ. ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში მოსპობილია მტრის 1.200 ჯარისკაცი და ოფიცერი.

ერთ რაიონში ჩვენმა შემტევმა ჯარებმა გაათავისუფლეს 5.000 მშვიდობიანი მცხოვრები, რომელთაც გერმანელები ძალით მიერეკებოდნენ ფაშისტურ მონობაში. გერმანელთა სარდლობამ გასცა ბრძანება მოსახლეობის ევაკუაციის შესახებ და იმუქრება, ყველა, ვინც შეეცდება დარჩენას, გაქცევას და ტყეებში დამალვას, დახვრეტილი იქნებაო. ჰიტლერელი კაციჭამიების ამ ბრძანების მიუხედავად, ათასობით საბჭოთა ადამიანი იმალება სარდაფებში, თავს აფარებს ტყეებსა და მინდვრებს და სიხარულით ეგებება თავის განმათავისუფლებელს—წითელ არმიას.

* * *

ხარკოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებით შეტევას.

ხარკოვის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით მტერმა სასწრაფოდ გადმოიყვანა რამდენიმე სატანკო დივიზია, რომლებიც სასოწარკვეთილი წინააღმდეგობით ცდილობენ შეაჩერონ საბჭოთა ჯარების შეტევა, ჩვენი ჯარები მტერს გამანადგურებელ დარტყმებს აგემებენ და წარმატებით მიიწევენ წინ. სწრაფი იერიშით საბჭოთა მებრძოლები ქალაქ ახტირკაში შეიჭრნენ და ქუჩებში გამართული ბრძოლების შედეგად დაიკავეს იგი. ქალაქისათვის ბრძოლაში 6 შენაერთმა გასწვიტა 1.600 ჰიტლერელი, მოსპო გერმანელთა 36 ტანკი, მათგან 12 მძიმე ტანკი „ვეფხვის“ ტიპისა, 14 თვითმავალი და 18 საველე ქვემეხი და 260 ავტომანქანა, ხელთ იგდო 193 ავტომანქანა, 2 საწყობი სურსათიანად, საწყობი საწვავიანად და სხვა დავალა. ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს აგრეთვე ქალაქი კრასნოკუტსკი. სხვა უბანზე ჩვენმა ჯარებმა, სდევნიდნენ რა უკანდახეულ გერმანელებს, გადასჭრეს ხარკოვ-პოლტავის რკინიგზა. ჩვენი მეავტომატიების ჯგუფი ამხ. სუდინის მეთაურობით ღამით შეიჭრა სოფელში, რომელსაც ფაშისტი იუნკრები იცავდნენ. საბჭოთა მეავტომატეებმა გასწვიტეს 150 ჰიტლერელი და დაიკავეს სოფელი. იუნკერთა სკოლის უფროსის ტყვედ არის წამოყვანილი. ხელთ ვიგდეთ ბევრი საჭურველი და საომარი მასალა.

ხარკოვის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათს რიცხვში რუსკიე და ჩერკასკიე ტიშკი 12 კილომეტრზე ხარკოვიდან. 6 სატანკო ნაწილმა გასწვიტა გერმანელთა ქვეითი ჯარის ბატალიონი, დასწვა მტრის 17 ტანკი და 4 თვითმავალი ქვემეხი, ხელთ იგდო 18 ქვემეხი და 39 ტყვიამფრქვევი. ტყვედ წამოყვანილია 400-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში დღის განმავლობაში გერმანელთა 42 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

* * *

იზიუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ნაწილები ბრძოლით დაზვერვას ეწეოდნენ. 6 ქვეგანაყოფმა იერიში მიიტანა გერმანელთა პოზიციებზე და გასწვიტა ერთ ასეულამდე ჰიტლერელი. საბჭოთა ავიაცია ურტყამდა მოწინააღმდეგის კოლონებს და სპობდა გერმანელთა ეშელონებს ჯარებიანად და ტექნიკიანად. დაბომბვის შედეგად ლოზოვაის, ბარვენკოვოს, კრასნპავლოვკის, ლიხაჩევოს, კრასნოგრადისა და კრასნოარმეისკოეს სადგურებზე ბევრგან ხანძარი გაჩნდა, რომელთაც თან სდევდა ძლიერი აფეთქებანი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე მზვერავმა ჯგუფებმა და სნაიპერებმა გასწვიტეს მტრის სულ მცირე ორი ასეული ქვეითი ჯარი. არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით დანგრეულია მტრის 44 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და 10 მიწური. ჩვენმა მფრინავებმა დაბომბეს მოწინააღმდეგის საარტილერიო პოზიციები, ააფეთქეს 9 საწყობი საომარი მასალისადა და დაამტვრიეს გერმანელთა რკინიგზის ეშელონი.

* * *

ვოლინის ოლქში მოქმედმა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა 10 დღის განმავლობაში ლიანდაგიდან გადაგდო მტრის 20 სამხედრო ეშელონი. მარცხის შედეგად დამტვრეულია 19 ორთქლმავალი, 195 ვაგონი, პლატფორმა და ცისტერნი. მთელ რიგ უბნებზე ჰიტლერელები იძულებული იყვნენ შეეწყვიტათ მატარებელთა მოძრაობა. ერთ-ერთ რაიონში პარტიზანებმა ცეცხლი წაუკიდეს მტრის დიდ საწყობს საწვავიანად.

* * *

გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთაგან განთავისუფლებულ ქალაქ ბელგოროდის მცხოვრებმა ი. ყაბოლოვმა გვიამბო: „როდესაც წელს გაზაფხულზე გერმანელებმა ბელგოროდი დაიკავეს, ჩვენთვის საშინელი დღეები დადგა. ჰიტლერელებმა მიზნად დაისახეს გერმანიაში გაერეკათ ყველა შრომისუნარიანი მცხოვრები, ხოლო ავადმყოფები და ბავშვები მოეკლათ ან შიმშილით დაეხოცათ. გერმანელები აწყობდნენ მასობრივ ჩხრეკას, იპერდნენ ხალხს და ძალით გზავნიდნენ გერმანიაში. მალე ქალაქი, რომელშიც წინათ 50 ათასამდე მცხოვრები ითვლებოდა, დაცარიელდა. აგვისტოს დამდეგს, ერთ-ერთი ჩხრეკის დროს, გერმანელებმა დამიჭირეს და სხვა მცხოვრებლებთან ერთად ბადრაგით წამიყვანეს შესაგროვებელ პუნქტზე. რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ სატვირთო ვაგონებში ჩაგვყარეს და წაგვიყვანეს. 10 კილომეტრი რომ გავიარეთ, მატარებელი უეცრად გაჩერდა. ძალიან დიდ ხანს ვიდექით. აქ გავიგეთ, რომ ჩვენი ტანკისტები მტრის ზურგში შემოიჭრნენ და რკინიგზის ლიანდაგი გადასჭრეს. თავზარდაცემულ გერმანელებს ჩვენი აღარა სცხელოდათ და გაიქცნენ. ამნაირად, ათასზე მეტი საბჭოთა მოქალაქე გადარჩენილ იქნა გერმანელთა სამარცხვინო მონობისაგან. ჩვენ არ ვიცით ამ სახელოვანი ტანკისტების გვარები, ჯერ ვიცნობთ მათს მებრძოლ მეთაურს, მაგრამ მთელი სიცოცხლის განმავლობაში გვეხსომებიან ისინი და მადლობელი ვიქნებით ფაშისტური მონობისაგან დახსნისათვის“.

ფაშისტი კაციჭამიების მორიგი პროვოკაცია

ჰიტლერელებმა შემზარავი ღრიანცელი პოლტავის იმის თაობაზე თითქოს მათ ქალაქ ვინიცის გარეუბნებში აღმოაჩინეს მასობრივი საფლავები. ბერლინის რადიომ მრავალრიცხოვან ცსობათაგან ერთ-ერთში ამის გამო ნათქვამია: „ვინიცის დასავლეთ გარეუბანში ნაპოვნია მასობრივი საფლავები... ნაკვეთზე, რომელიც ხეხილის ბაღს უკავია, ერთი ჰექტარის ფართობით, არის 30-მდე საფლავი. ოკუპაციის პერიოდში, როცა სათბობის საჭიროება შეიქმნა. იწყეს ღობის დარღვევა და აღმოაჩინეს 1938-1939 წლებში და უფრო გვიან მოკლულთა რამდენიმე გვამი“. ცდილობენ რა მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშორონ გერმანიის არმიის სამხედრო დამარცხებებს საბჭოთა კავშირგერმანიის ფრონტზე და მიჩქმალონ ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე ჩადენილ თავიანთ ბოროტმოქმედებათა კვალი, ჰიტლერელმა ყაბალბანდებმა უკვე უკანასკნელ ღღეებში ახალი ფანდი იხმარეს. 9 აგვისტოს მათ გამოაქვეყნეს „ოქმი“ გესტაპოს აგენტების ხროვისა და დაქირავებული პროვოკატორებისა, რომლებიც გერმანიის ხელისუფლებამ ვინიცაში გაგზავნეს და რომელთაც „სასამართლო მედიცინის პროფესორთა კომისია“ უწოდეს. ჰიტლერელმა აგენტებმა, ეყრდნობიან რა სისხლისმღვრელ ბოროტმოქმედებათა თავიანთ დიდ პრაქტიკას, სცადეს თავიანთი დანაშაული სხვებს გადააბრალონ—საბჭოთა ადამიანებს მიაწერონ თავიანთი საკუთარი—გერმანელთა დანაშაულობანი. ამ სისხლისმსმელთა უტიფრობა ისე შორს წავიდა, რომ ისინი საბჭოთა ადამიანებს აწერენ მშვიდობიანი მოსახლეობისათვის ანგარიშს გასწორების თავიანთ საყვარელ მეთოდებს— თაღიანთ უმწეო მსხვერპლისათვის ზურგში სროლას, მშვიდობიან საბჭოთა ადამიანების ცოცხლად დამარხვას და სხვ.

ნაცადი გერმანელი თაღლითები ცდილობენ საქმე ისე წარმოადგინონ, რომ ვინიცაში ორი წლის ყოფნის შემდეგ ისინი შემთხვევით წაეწყდნენ მასობრივ საფლავებს. მაგრამ აქ ნასაბიც კი არ არის შემთხვევითობისა. გერმანელ ჯალათებს ოდნავაც არ გაუძალიანებიათ მოეძებნათ საფლავები ვინიცაში, და არა მარტო ვინიცაში, არამედ ყოველ სხვა ქალაქშიც, რომელიც დროებით არის დაკავებული გერმანელებს მიერ. იბრეზოდნენ რა საბჭოთა დასახლებულ პუნქტებში ჰიტლერელები სასტიკად უსწორებდნენ ანგარიშს მშვიდობიან მცხოვრებთ, ხოცავდნენ ათასობით უდანაშაულო ქალებს, მოხუცებსა და ბავშვებს. ხვრეტდნენ რა ასობით და ათასობით საბჭოთა მოქალაქეს, გერმანელები მათს გვამებს ჭყრიდნენ ხვრეტებში, ტანჯაფრინაღმდეგო თხრილებში და მიწას აყრიდნენ.

ქალაქ მინსკის საკონცენტრაციო და რიმედასის ქუჩების რაიონის ორობებში, კალვარიის სასაფლაოზე და ქალაქის გარეუბნის ხვრეტებში დაფლულია გვამები ათასობით საბჭოთა ადამიანისა, რომლებიც ჰიტლერელებმა აწამეს და დახვრიტეს.

გერმანელებს სრულიად შრომის გაუწევლად შეუძლიათ „იპოვონ“ მასობრივი საფლავები ვიტებსკში. ამ ქალაქში, ახალ საავადმყოფოს იქით მდებარე ხევში, 1941 წლის 24 ივლისს და შემდეგს დღეებში ჰიტლერელებმა დახვრიტეს და მიწაში დაფლეს ათასობით მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქე.

თუ მოისურვებენ, გერმანელ პროვოკატორებს შეუძლიათ აგრეთვე განაცხადონ ნოვგოროდ-სევერსკის შესახებ ბობრუისკის სიმაგრის პლაცზე. აქ 1941 წლის 8 და 9 ნოემბერს ჰიტლერელებმა დახვრიტეს და დამარხეს 7.000-ზე მეტი საბჭოთა მოქალაქე.

ფაშისტი კაციჭამიების ხელით დაღუპულ საბჭოთა ადამიანების გვამების უდიდესი რაოდენობა გერმანელებს შეუძლიათ „აღმოაჩინონ“ ბაბიი იარში, კიევში.

ქალაქ კრასნოარმეისკში ცარცის მთის კარიერში დაფლულია ასობით მშვიდობიანი მცხოვრების გვამი, რომლებიც გერმანელებმა მხეცურად აწამეს.

ქალაქ ოსიპენკოს რაიონში მერლიკოვის ხევში დამარხულია გერმანელ ოკუპანტთაგან, ჰიტლერელების საშინელ დანაშაულობათა მით უფრო და უფრო მეტ ფაქტებს პოულობს იგი. ხოლო ბოროტმოქმედებათა კიდევ რამდენ ასეთ ფაქტს, ჰიტლერელთა სისხლიანი ხელით დაღუპულ საბჭოთა მშვიდობიანი ადამიანების რამდენ საფლავს შეხვდება წითელი არმია თავის გზაზე.

ომის პირველ პერიოდში წარმატებებით მთვრალი ფაშისტი მგლები საჭიროდაც კი არა სთვლიდნენ დაემალათ მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქეების მასობრივი მკვლელობა. ახლა, როცა სამხედრო ბედმა ზურგი შეაქცია გერმანელებს, ჰიტლერელი მხეცები ცდილობენ ცხვრის ქურქში გაეხვიონ. ჯალათები შიშმა მოიცვა და ისინი ცასაფლაოზე, მათ მსხვერპლთა საფლავებზე წაიყვანა. ბერლინელი პროვოკატორები ახლა აცხადებენ მასობრივი საფლავების ვითომდაც „შემთხვევით“ პოვნის შესახებ, ამით ცდილობენ მიჩქმალონ ცვალი და თავიანთი საშინელი ბოროტმოქმედებანი მიაწერონ საბჭოთა ხელისუფალთ.

ჰიტლერელები ვინიცაში, თავიანთ მსხვერპლთა გვამებზე, საზიზღარ და უტიფარ კომედიას თამაშობენ. მკვლელები, ვისი ხელებიც დასვრილია უდანაშაულოთა სისხლით, სთხოვენ იმ ადამიანთა გვამებს, რომლებიც მათ ულმობლად მოსპეს, მათს საფლავებზე ტაციმასხრულ ინსცენირებას აწყობენ. ასეთი საზიზღრობა და ასეთი ფარისევლობა მსოფლიოს ჯერ არ უნახავს.

ჰიტლერელმა არამზადებმა ევროპაში სისხლის მორევი დაიყენეს, გასწყვეტეს მილიონობით მშვიდობიანი ადამიანი, სასაფლაოდ აქციეს ათასობით ქალაქი და სოფელი. რა ხრიკი და ფანდიც უნდა იხმაროს გერმანელმა მკვლელებმა, ისინი ვერ მოახერხებენ თავიანთ ბოროტმოქმედებათა მიჩქმალვას და პასუხისგებლობისაგან თავის დაძვრასს. დამსჯელი ხელი საბჭოთა ხალხისა მისწვდება ჯალათებს, სადაც უნდა იყვნენ ისინი, ბრალდებულთა სკამზე მიაჯენს მათ და დამსახურებისაებრ მიუზღავს ამ სისხლმოწყურებულ მხეცებს.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

12 აგვისტოს ოპერაციული ცნობა

12 აგვისტოს განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრიანსკის მიმართულებით განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას და, წაიწიეს რა წინ 10-დან 12 კილომეტრამდე, დაიკავეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის: ქალაქი დმიტროვსკ-ორლოვსკი და დიდი დასახლებული პუნქტები ტერებილოვო (10 კილომეტრზე კარაჩოვის ჩრდილოეთით), ნოვაია დერევნია, სუმაროკოვო (7 კილომეტრზე კარაჩოვის აღმოსავლეთით), ვილიამინოვო, გლინკი, მოლოდოვოე, როგნეე, ტიტოვო, ლოგკი, ბელოკი, ვალდიშში და რკინიგზის სადგური ოდნინსკაია.

ხარკოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობასა და კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს 20-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის: ქალაქი ჩუგუევი, რაიონული ცენტრი კოტელვა და დიდი დასახლებული პუნქტები კოლოზეევი, ლიუბოვკა, მალაია როგოზიანკა, ციბაკუნი (8 კილომეტრზე ხარკოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით), ზაროშნოე, კაბეენაია იაროშა.

სხვა ფრონტებზე ჩვენი ჯარები ეწეოდნენ საბრძოლო დაზვერვას და საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლას მოწინააღმდეგეთან.

11 აგვისტოს განმავლობაში ყველა ფრონტზე ჩვენმა ჯარებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანიის 56 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 48 თვითმფრინავი.

* * *

მოვაწყოთ კომკავშირის XXV წლისთავის სახელობის

სოციალისტური შეჯიბრება

ბელადის სახელობის ქარხნის ახალგაზრდობის მიმართვა საქართველოს ახალგაზრდობისადმი

ამ დღეებში შესდგა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ახალგაზრდობის შეკრება, რომელმაც განიხილა ლენინურ-სტალინური კომკავშირის XXV წლისთავისათვის მზადების საკითხი. შეკრებაზე მოხსენება გააკეთა საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. შენგელიამ.

— ახლოვდება ლენინურ-სტალინური კომკავშირის XXV წლისთავი, ზურგში მომუშავე თითოეული კომკავშირელის, თითოეული საბჭოთა ახალგაზრდის საბრძოლო ამოცანაა ამ სახელოვან თარიღს ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდეს. გავაძლიეროთ მუშაობა, გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება, მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია მივცეთ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას, რათა ამით დავაჩქაროთ საზიზღარი მტრის—ჰიტლერელი ოკუპანტების განადგურება, — აცხადებდნენ შეკრებაზე სიტყვებით გამოსული ქარხნის მოწინავე ახალგაზრდები.

ამწყობი საამქროს კომკავშირის ბიუროს მდივანმა, ოსტატმა გ. დამენიამ საამქროს ახალგაზრდობის სახელით იკისრა გეგმის გადამეტებით 20 ოქტომბრისათვის შეაკეთონ 3 ორთქლმავალი, შეაგროვონ 200 ტონა შავი ლითონის ჯართი, დაზოგონ 2 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 25 ახალგაზრდას შეასწავლონ საწარმოო სპეციალობა, მოამზადონ ხელოვნურთული ბრძოლის 50 ოსტატი და 20 ტანკის გამანადგურებელი, ორასოვანთა რიცხვი გაზარდონ 10 კაცით.

სბარგო-სავაგონო საამქროს კომკავშირის ბიუროს მდივანმა ამხ. გ. საპოჭკიანმა საამქროს ახალგაზრდობის სახელით ვალდებულება აიღო 20 ოქტომბრისათვის შეაკეთონ 3 ორთქლმავალი, შეაგროვონ 200 ტონა შავი ლითონის ჯართი, დაზოგონ 2 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 25 ახალგაზრდას შეასწავლონ საწარმოო სპეციალობა, ორასოვანთა რიცხვი 26 ტონა შავი ლითონის ჯართი. საიარაღო საამქროს ჯგუფორგმა, კომკავშირელმა ხარატმა ამხ. ზარდიაშვილმა, რომელიც გეგმას 300 პროცენტით ასრულებს, ვალდებულება აიღო კომკავშირის XXV წლისთავს ახალი საწარმოო გამარჯვებით შეხვდეს, ყოველთვიური გეგმა 400 პროცენტით შეასრულოს და სახარატო საქმე შეასწავლოს 3 ახალგაზრდას.

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ და ახალი საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე № 24 საამქროს ხარატმა, კომკავშირის ბიუროს მდივანმა ამხ. ი. ჭუმბურიძემ, სამონტაჟო საამქროს ზეინკლმა, კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. ოსიპოვმა.

ბელადის სახელობის ქარხნის ახალგაზრდობის შეკრებამ მიიღო მიმართვა საქართველოს ახალგაზრდობისადმი კომკავშირის XXV წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

ჩვენ, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კომკავშირელები და ახალგაზრდობა,—ნათქვამია მიმართვაში,—ვებმებით რა კომკავშირის XXV წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. ქარხნის მთელ კოლექტივთან ერთად მივაღწიოთ წლიური გეგმის შესრულებას სტალინური კონსტიტუციის დღისათვის—5 დეკემბრისათვის;

2. კომკავშირელებისა და კავშირგარეშე ახალგაზრდობის ძალებით გეგმის ზეგით გამოვუშვათ კაპიტალური რემონტიდან 3 ორთქლმავალი, 3 სამგზავრო ვაგონი, 3 მოტორიანი ვაგონი და 6 საბარგო ვაგონი;

3. ჩავატაროთ კომკავშირულ-ახალგაზრდული კვირაობები, რათა 1 ოქტომბრისათვის შეავაგროვოთ სულ მცირე 500 ტონა შავი და ფერადი ლითონების ჯართი;

4. მივაღწიოთ იმას, რომ ყველა კომკავშირელი სტახანოველი გახდეს;

5. შეექმნათ კომკავშირულ-ახალგაზრდული საგუშაგოები და 29 ოქტომბრისათვის დავზოგოთ 5 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია;

6. კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას შორის გავაძლიეროთ სამხედრო-ფიზკულტურული მუშაობა და დამატებით მოვამზადოთ 50 ვოროშილოველი მსროლელი, 10 სნაიპერი, 80 ტანკის გამანადგურებელი. მოვაწყოთ კომკავშირის XXV წლისთავის სახელობის მასობრივი ქვეითი ლაშქრობა: ჭაბუკებისათვის—40 კილომეტრზე, ქალაშვილებისათვის—25 კილომეტრზე;

7. ავიღოთ შეფობა ერთ-ერთ კოლმეურნეობაზე. შეექმნათ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა კოლმეურნეობის დასახმარებლად საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის ინვენტარის მომზადების საქმეში;

8. გავაუმჯობესოთ მასობრივ-პოლიტიკური და კულტურული მუშაობა ახალგაზრდობას შორის. მოვაწყოთ ქარხნის ახალგაზრდობის შეხვედრა სამამულო ომის გმირებთან და ზურგის მებრძოლებთან. ყოველ ახალგაზრდა მუშას გავაცნოთ ჩვენი ქარხნის ისტორია, გადავცეთ მათ საუკეთესო სტახანოველთა მუშაობის გამოცდილება.

ჩვენ ღრმად და საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის შესანიშნავი წიგნი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“, რათა წარმატებით განვახორციელოთ ის დიადი ამოცანები, რომლებიც უმაღლესმა მთავარსარდალმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხანაგმა სტალინმა მთელ საბჭოთა ხალხს დაუსახა.

საქ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა სტალინის სახელობის ქარხნის ახალგაზრდობის ეს ინიციატივა და მოუწოდა საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებს გამოეხმაურონ მიმართვას, ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში, ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ სახელოვანი კომკავშირის XXV წლისთავს.

სახელოსნო სასწავლებელთა ფრიადოსნების რესპუბლიკური კონფერენცია

14 აგვისტოს თბილისში მოწვეულია სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლების, აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლათა ფრიადოსანი მოსწავლეების პირველი რესპუბლიკური კონფერენცია, რომელსაც დაესწრებიან იმ საწარმოთა ხელმძღვანელები, სადაც სახელოსნო სასწავლებლებში კურსდამთავრებულები მუშაობენ.

კონფერენციის დღის წესრიგში ორი საკითხია: 1. სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლების, აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლათა პარტიული შეჯიბრების წლისთავი და მოსწავლეთა შემდგომი ამოცანები დიდი სტალინის საპირველმაისო ბრძანების შესასრულებლად (მომხსენებელი საქ. სსრ შრომის რეზერვების სამმართველოს უფროსი ამხ. მ. ჩხეიძე); 2. სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლების, აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლათა კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები (მომხსენებელი საქ. ალკკ ც. კომკავშირეთი ამხ. გ. იმნაიშვილი).

კონფერენციას დაესწრებიან ფრიადოსან მოსწავლეთა დელეგატები თბილისიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან, სოხუმიდან, ტყვარჩელიდან, ტყიბულიდან, წულუკიძიდან, სამტრედიიდან, გორიდან, ბორჯომიდან და რესპუბლიკის სხვა რაიონებიდან.

კონფერენციისათვის მზადდება მოწაფეთა ნაშუშევრების დიდი გამოფენა. კონფერენცია გაიხსნება ძერჟინსკის სახელობის კლუბში (ბესიკის ქ. № 4) საღამოს 6 საათზე.

დეპეშები

ბენეშის მოსკოვს გამომგზავრების საკითხის გამო

სტოკჰოლმი, 10 აგვისტო. (ბაზეთ „პრაველის“ სტოკჰოლმელი კორესპონდენტისაგან). ამ დღეებში ლონდონის გაზეთ „რეინოლდს ნიუსში“ დაბეჭდილი იყო ცნობა, რომ ინგლისის წრეებში გაკვირვებას გამოთქვამენ ბენეშის მოსკოვს გამგზავრების გადადების გამო. ლონდონში კარგად იციან, რომ ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ივლისში აპირებდა მოსკოვს გამგზავრებას, რათა ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დაედო სსრ კავშირთან. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც თუშყებიან, საბჭოთა მთავრობამ თავისი პრინციპული თანხმობა განაცხადა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ამ წინადადებაზე, ბენეშის განზრახვას რატომღაც წინააღუდგნენ ინგლისის წრეებში და ამიტომ ბენეშის გამგზავრება მოსკოვს ჯერჯერობით გადაიდო.

საომარი მოქმედება კუნძულ სიციდიაზე

ლონდონი, 12 აგვისტო (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, მოკავშირეთა ჯარები განაგრძობენ განუწყვეტლივ წინწაწევას ფრონტის ყველა სექტორში. სანაპიროზე მოწინააღმდეგე „საარიერგარდო ბრძოლებს აწარმოებს. ბრონტეს ჩრდილოეთით მტრის ჯარები გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევენ. ამ პუნქტში მერვე არმია უტევს ამერიკის მეშვიდე არმიასთან მჭიდრო თანამოქმედებით.

ჩრდილოეთით მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი სან-მარკო დ'ალუნციო. სხვა ნაწილებმა შეჭრნეს ხიდისწინა სიმაგრე მოწინააღმდეგის პოზიციის ზურგში.

ინგლისის საჰაერო გემებმა 9 აგვისტოს ღამით დაუშინეს იტალიის სანაპიროზე მდებარე ორ პუნქტს.

იუგოსლავიის ახალი მთავრობის შექმნა

ლონდონი, 11 აგვისტო (საკდესი). ოფიციალურად გამოქვეყნდა, რომ შეიქმნა იუგოსლავიის ახალი მთავრობა, შედგენილი ბოჟიდარ პურიჩის მიერ, რომელმაც, გარდა პრემიერ-მინისტრის პოსტისა, თვითონ დაიტოვა საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი.

დაპატიმრებანი ბულგარეთის არმიაში

სტამბოლი, 12 აგვისტო (საკდესი). ბულგარეთიდან ჩამოსული პირნი იუწყებიან, რომ ბულგარეთის არმიაში იზრდება ანტიგერმანული და მთავრობის საწინააღმდეგო განწყობილება. 24 ივლისს ქალაქ დრამის გარნიზონის ყაზარმებში აღმოვნეს ანტიფაშისტური ფურცლები. ჩხრეკის დროს ფურცლები აღმოაჩინდა აგრეთვე მრავალ ჯარისკაცსა და უნტერ-ოფიცერს. დაპატიმრეს 5 უფროსი ოფიცერი, 40 უნტერ-ოფიცერი და ჯარისკაცი, ქალაქის გარნიზონის სამედიცინო სამსახურის უფროსი ბრანიჩოვი და 4 ექიმი. ივლისის დამლევს მოხდა დაპატიმრებანი ბულგარეთის ჯარის იმ ნაწილებში, რომელნიც დაბანაკებულია ქალაქებში—კავალასა, სოფლიოსა და სხვებში.

ამავე დროს ბულგარეთის სარდლობამ ოკუპირებული ტერიტორიებიდან უკან გაიწვია თადარიგიდან წაყვანილი ყველა ძველი ოფიცერი და გაგზავნა ისინი თვით ბულგარეთის ფარგლებში დაბანაკებულ ნაწილებში. ოკუპირებულ ტერიტორიებზე კი გაიგზავნა ახალგაზრდა ოფიცრები, რომლებიც გერმანიაში გადიოდნენ მომზადებას.

თრაკიასა და მაკედონიაში დაბანაკებული ნაწილების სარდლობას წინადადება მიეცა „გააძლიეროს მეთვალყურეობა“ უმცროს მეთაურთა და ჯარისკაცთა განწყობილების მიმართ.

ანგიგერმანული დემონსტრაციები უნგრეთში

სტოკჰოლმი, 11 აგვისტო (საკდესი). გაზეთ „აფტონტიდნინგენის“ ცნობით, უნგრეთის ზოგიერთ ქალაქში მოხდა დიდი ანტიგერმანული დემონსტრაციები. დემონსტრანტთა მასები მოითხოვდნენ გერმანელების განდევნას უნგრეთიდან.

სამხედრო მშენებლობა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი, 10 აგვისტო (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ივნისის დამლევისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში შესრულებული იყო საჰხედრო ქარხნების მშენებლობის მთელი იმ პროგრამის 80 პროცენტზე მეტი, რომელსაც მთავრობა აფინანსებს. მთავრობის მიერ გადადებული 14.582 მილიონი დოლარიდან უკვე დახარჯულია 12.038 მილიონი დოლარი. განსაკუთრებით წარმატებით მიმდინარეობს საარტილერიო ქვემეხების, საბრძოლო მანქანების, გემებისა და საომარი მასალების მწარმოებელი ქარხნების და მოწყობილობის მშენებლობა. ქიმიურ საწარმოთა მშენებლობის პროგრამა შესრულებულია 90 პროცენტით.

გასულ წელს ამოშავებული ქარხნებიდან და მოწყობილობიდან 75 პროცენტს შეადგენდნენ საარტილერიო და საავიაციო საწარმოები და გემთსაშენები. წელს საეჭსპლოატაციოდ გადასაცემ საწარმოთა ნახევარი საპურვლის მწარმოებელი ქარხნები იქნება.

უცხოეთის ქრონიკა

40 ბელგიელი პატრიოტი, შეიარაღებული ხელის ტყვიამფრქვევებითა და რევოლვერებით, ლიეჟის მახლობლად თავს დაესხა გერმანელთა იარაღის დიდ საწყობს. ბელგიელმა პატრიოტებმა გადასჭრეს ტელეფონის მავთულები, მოხსნეს საწყობის მცველი რაზმი, დატვირთეს ავტომანქანები დიდძალი შაშხანით, რევოლვერებით, საომარი მასალით და მიიმალნენ.

კანადის გემთსაშენებში ახლა შენდება 4.000 პატარა ხომალდი. ომის წლების მანძილზე კანადაში აგებულ იქნა საერთოდ მილიონნახევარი ტონის წყალწყვის სავაჭრო გემები.

* * *

6 აგვისტოს კვისლინგელთა სავაჭრო გემმა შვეიცის ტერიტორიულ წყლებში სროლა აუტეხა შვეიცის პატარა სამხედრო ხომალდს. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

ღრმად შევისწავლოთ ამხანაგ სტალინის წიგნი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“

თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები უდიდეს ინტერესს იჩენენ ამხანაგ სტალინის ისტორიული წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ,“ შესწავლისადმი. ამ საკითხზე ჩვენი ფაბრიკის პარტბიურომ სპეციალური გადაწყვეტილება მიიღო. იმავე ხანებში ჩვენ მოვიწვიეთ სამმეცრების პარტბიუროების მდივნების, პარტიულ-კომკავშირული და სამეურნეო აქტივის, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელების და პროპაგანდისტების თათბირი ამხანაგ სტალინის წიგნის ღრმად შესწავლის საკითხებზე. ფაბრიკის პარტბიუროს გულდასმით შეარჩია ამხანაგები მთი იდეურ-პოლიტიკური დონის მიხედვით და ისე დააკომპლექტა წრეების შემადგენლობა. განსაზღვრულია წრეების სამეცადინო დრო და ადგილი, ისინი უზრუნველყოფილ არიან კვალიფიციური ხელმძღვანელებით. ფაბრიკის მუშაკები ამხ. ბერეჟანაშვილი, სიჭინავა, თხილაძე, ოქოევა და სხვ. გამოყოფილ არიან წრეების ხელმძღვანელებად. წრის წევრებს დაურიგდათ ამხანაგ სტალინის წიგნი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“.

ფაბრიკის კომკავშირულმა ორგანიზაციამ კომკავშირელებსა და კავშირგარეშე ახალგაზრდობასთან ჩაატარა თათბირი ამხანაგ სტალინის წიგნის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის საკითხებზე, 52 კომკავშირელი ჩაბმულია წრეებში, დანარჩენები დანოუკიდებლად მუშობენ, მათ სათანადოდ ეხმარებიან პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები.

ჩვენი ფაბრიკის კედლის გაზეთში ფართოდ გაშუქდა ამხანაგ სტალინის წიგნის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის საკითხები. წრის მსმენელები, აგიტატორები, წარმოების სტახანოველები კედლის გაზეთის საშუალებით მოგვითხრობენ იმის შესახებ, თუ რა მეთოდით სწავლობენ ამხანაგ სტალინის წიგნს.

უკვე რამდენჯერმე ჩატარდა მეცადინეობა წრეებში. პარტორგანიზაცია ეხმარება წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს.

ფაბრიკაში ჩატარდა აგრეთვე ლექცია ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლის მნიშვნელობაზე. ლექცია ჩაატარა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. მოლოტოვის რაიკომის პროპაგანდისტმა ამხ. სარქისოვამ. ლექციამ ყურადღებიანი მსმენელები დაინტერესა. ფაბრიკის პარტბიუროს მდივნის მოადგილემ ამხ. სიჭინავამ ლექციის შემდეგ აღნიშნა, რომ ამხანაგ სტალინის ეს შესანიშნავი წიგნი მას ახალ სტიმულს აძლევს საწარმოო დავალებათა მეტი წარმატებით შესრულებისათვის.

უკვე რამდენჯერმე ჩატარდა ფაბრიკის სამეურნეო-პარტიული აქტივის სემინარი ამხანაგ სტალინის წიგნის ცალკეულ საკითხებზე. სემინარებს ესწრებიან საამქროთა ოსტატები, ინსტრუქტორები, ცვლის ოსტატები და სხვ.

ფაბრიკის აქტივი სისტემატურად ესწრება რაიკომის პარტკაბინეტში მოწყობილ თათბირებსა და სიუბრებს, ჯგუფურ და ინდივიდუალურ კონსულტაციებს. ამხანაგ სტალინის ეს გენიალური წიგნი ყველა საბჭოთა პატრიოტის ნიადაგსახმარი წიგნი გახდა. იგი გვიძლიერებს ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვების მტკიცე რწმენას და კიდევ უფრო აღგვიფრთოვანებს ისეთივე წარმატებით სამუშაოდ, როგორი წარმატებითაც იბრძვის ჩვენი სახელოვანი წითელი არმია ჰიტლერელი ავაზაკების წინააღმდეგ.

ფ. აფაქიძე

პირველი სამკერვალო ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი.

მშრომელები სწავლობენ ამხანაგ სტალინის წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“

კიროვის რაიონი

თბილისის კიროვის რაიონში ამხანაგ სტალინის წიგნის შესასწავლად 63 წრე ჩამოყალიბდა. აგვისტოს პირველ რიცხვებში რაიკომის პარტკაბინეტში ჩატარდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი ამხანაგ სტალინის წიგნის მნიშვნელობაზე. ამავე საკითხზე მოეწყო აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარიც. დღეს, 13 აგვისტოს, რაიონული პარტაქტივისათვის შესდგება ამხ. გიორგი სტურუას მოხსენება ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლაზე.

დამოუკიდებლად შემსწავლელი ამხანაგებისა დასახმარებლად წაკითხული იქნება ლექციები ამხანაგ სტალინის წიგნიდან გამომდინარე ცალკეულ თემებზე. მეცარიცხოვანი პარტიული ორგანიზაციების აგიტატორებისათვის მოეწყობა სპეციალური სემინარი, რომელზეც განემარტებათ, თუ როგორ უნდა მოაწყონ ამხანაგ სტალინის წიგნის ღრმად შესწავლა.

რაიკომის პარტკაბინეტში და მსხვილ საწარმოთა, მათ შორის პირველ და მეექვსე სამკერვალო ფაბრიკების, ტყავის პირველი ქარხნის, კოოპინაკავშირის აგიტპუნქტებში მოწყობილია დამხმარე ლიტერატურისა და მასალების გამოფენები.

მოლოტოვის რაიონი

თბილისის მოლოტოვის რაიონში დაიწყო მუშაობა ამხანაგ სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ ღრმად შესწავლისათვის. რაიონში ჩამოყალიბდა ამხანაგ სტალინის წიგნის შემსწავლელი 36 წრე, შერჩეულია წრეების ხელმძღვანელები. პასუხისმგებელი მუშაკები, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლექტორები ატარებენ ლექციებს როგორც პარტკაბინეტში, ისე ადგილებზე ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლის მნიშვნელობისა და წიგნში აღნიშნული ცალკეული საკითხების შესახებ.

დიდი ინტერესით ჩატარდა ლექცია ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტში, პირველ სამკერვალო ფაბრიკაში და სხვადან. პარტკაბინეტში ყოველდღიურად ტარდება ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები. ადგილობრივი ორგანიზაციების — თბილისის უნივერმაღის, ბეჭდვითი სტყვის კომბინატის და სხვათა მოთხოვნით რაიონის პარტკაბინეტმა უკვე ჩაატარა რამდენიმე ჯგუფური სისტემატურად ჩაატარებს ლექციებსა და ჯგუფურ კონსულტაციებს ადგილებზე—რაიკომების პარტკაბინეტებში და საწარმოებში. ამ დღეებში მუშობას შეუდგება პარტიის რაიონული კომიტეტების აგიტსემინართა ხელმძღვანელებისა და პროპაგანდისტების საქალაქო სემინარი.

საქალაქო პარტკაბინეტში მოწყობილია გამოფენა, მიძღვნილი ამხანაგ სტალინის წიგნისადმი. გამოფენაზე წარმოდგენილია დამხმარე ლიტერატურა, საყურნალო და საგაზეთო სტატიები, რაც დაეხმარება წრეების ხელმძღვანელებს, აგიტატორებსა და დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს ამხანაგ სტალინის წიგნის ღრმად შესწავლაში.

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

ფოთი, 11 აგვისტო. (საქდესი). 10 აგვისტოს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის IV პლენუმი. სხვა საკითხებზე გადასვლასთან დაკავშირებით პლენუმმა ამხ. ნ. გაბუნია გაათავისუფლა საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან და პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. კ. ბეჭვაია.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კადრების დარგში ამხ. ა. თოფურიძე.

საქ. კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომის პლენუმი

საჩხერე („კომუნისტის“ საკ. კორ.). ამ დღეებში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა საქ. კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ნ. ქარჩხავე მოხსნა რაიკომის პირველი მდივნობიდან და გამოიყვანა რაიკომის ბიუროს წევრთა შემადგენლობიდან. პლენუმმა საქ. კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომის პირველ მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. პროკოფი რატიანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. ი. თავაძე.

ДРОУЕДЕ ДА УДАНАКАРГОЕ АВИЕОТ УХЗВИ САМХЕДРО МОСАВАЕ

МАРЦВЕЕУЕБИ КУЕДЗУРЕБИС МКА МТАВРЕДЕБА

АХАЛЦИХЕ (საქდესი). ახალციხის რაიონის კოლმეურნეობებში მთავრდება მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. 5 აგვისტოსთვის რაიონში მომწიფა 7.100-ზე მეტი ჰექტარი მარცვლეული კულტურები. საგანგებით დაამთავრეს პურის მოსავლის აღება აწყურის, საკუნეთის, ფარსის, საძელისა და სხვა სასოფლო საბჭოებში შემავალმა კოლმეურნეობებმა. ამჟამად მიმდინარეობს უზარმაზარ სამხედრო მოსავლის გალეწვა. უკვე გაილეწა 930 ჰექტარის მოსავალი. პირველ განალეწ მარცვლს კოლმეურნეი სახელმწიფოს აბარებენ. 5 აგვისტოსთვის „ზაგორსკენის“ პუნქტებს ჩაბარეს დაახლოებით 170 ტონა მარცვალი. უკანასკნელ ხუთდღიურში მარცვლის ჩაბარების გეგმა 200 პროცენტით შესრულდა. სოფ. ურაველის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობამ და სოფ. წყალთბილას კოლმეურნეობა „წითელმა მესაზღვრემ“ პირნათლად შეასრულეს სახელმწიფო კალდებულება.

მოსავლის აღების სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობას იღებენ მოწაფეები. სოფ. ტობას კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში მოსწავლეთა ბრიგადა პედაგოგ ტ. სუდაძის ხელმძღვანელობით დღეში ათობით კილოგრამ მარცვალს იღებს.

უდანაკარგოდ აღებულია მოსავალი სოფ. საკუნეთის კოლმეურნეობა „დამკვრელის“ მინდვრებში. მთიბავ ქალთა ბრიგადა, რომელიც 15 კოლმეურნე ქალის—ფრონტელთა ცოლებისაგან შესდგება, მოსავლის აღების სამუშაოებზე სისტემატურად 150 პროცენტით ასრულებს გეგმას.

აკ დაკუშვათ ჩამორჩენა ნათესების დამუშავებაში

ჩხარი („კომუნისტის“ საკ. კორ.). კამოს სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც წინათ ჩამორჩენილი იყო, ახლა ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობა გახდა. ამ კოლმეურნეობაში მისი თავმჯდომარის დ. ხუჯაძის და მოწინავე კოლმეურნეთა ენერგიული მუშაობით მინდვრის სამუშაოები ვადაზე ადრე დაამთავრეს. კარგად უვლიან ვაზს და ბოსტანს. დაწინაურდნენ აგრეთვე ჩკალოვის, ჯაფარიძის, ორჯონიკიძის და ენგელსის სახელობის კოლმეურნეობები. იზრდება მოწინავე ადამიანთა რიცხვიც. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ამბროსი სულამანიძის, ბახო რობაქიძის, გაიოზ ბარდაველიძის და კოლია აბულაძის საკოლმეურნეო ბრიგადები დღიურ ნორმებს 150-200 პროცენტით ასრულებენ. კოლმეურნეებიდან ორასოვნები არიან გრ. გამეზარდაშვილი, სილოინ აბულაძე, კალისტრატე სულამანიძე და მრავალი სხვა. ენერგიულად მუშაობენ კოლმეურნე ქალები—ვასასი სულამანიძე, ოლია ბარდაველიძე და სხვ. კოლმეურნეობაში სისტემატურად ამოწმებენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. წარმატებით ასრულებენ დავალებებს აგრეთვე ციროვის, ნინოშვილის და რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობები.

მაგრამ ყველგან ასე როდია. ჯერ კიდევ ცუდად მუშაობენ მიქოიანის, ანდრეევის, კალინინის, დიმიტროვის, ცხაკაიას, კლდიაშვილის, წულუკიძის და ტელმანის სახელობის კოლმეურნეობები. ეს კოლმეურნეობები სამარცხვინოდ ჩამორჩნენ სიმინდის თოხნასა და სხვა სამუშაოებში. სიმინდის მეორედ გათოხნა გააჭიანურეს კლდიაშვილის სახელობის (თავმჯდომარე ვლ. გვადიბაძე), მიქოიანის სახელობის (თავმჯდომარე აბულაძე), ცხაკაიას სახელობის (მ. აბულაძე), ანდრეევის სახელობის (დ. წიქრიძე), კალინინის (ვლ. ბუცხრიკიძე) და სხვა კოლმეურნეობებში.

ეს ჩამორჩენა იმით აიხსნება, რომ იქ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მუშახელის მთლიანად გამოყენებას, არ ამოწმებენ ბრიგადებსა და რგოლებს შორის გაწლილი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას.

აღსანიშნავია, რომ რაიმიწვანი არასაკმაო ხელმძღვანელობას და დახმარებას უწევს ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს. აგრონომიული პერსონალი (უფროსი აგრონომი აბო ბუცხრიკიძე) ჩამორჩენის ფაქტების აღნიშვნით კმაყოფილდება.

აღვაკვეთოთ დანაშაულებრივი უდარდელობა ნათესების დამუშავებაში. მივიღოთ გადამჭრელი ზომები ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად.

დ. კაჭკაჭოვი

ჩემი გამოცდილება სემიოლოსის მეთოდით მუშაობაში

3 აგვისტოს გაზეთ „კომუნისტში“ წაიკითხე ტყიბულის მაღაროების ძველი მუშის ამეცამად ფრონტელ ამხ. ვ. ნანიკაშვილის წერილი ტყიბულის ქვანახშირის მაღაროელებისადმი. ამხ. ნანიკაშვილი მოგვიწოდებს ყველაფერი გავაკეთოთ ჰიტლერელი ოკუპანტების გასანადგურებლად, გადაეარბეთ შეასრულოთ ქვანახშირის ამოღების მიმდინარე წლის გეგმები და გვისურვებს მოწინავეთა რიგებში ჩადგომას.

ამ მოწოდებამ ახალი ძალა შემმატა გავაძლიერო ქვანახშირის ამოღება.

როგორ გამეუმჯობესებინა მუშაობა?

ამ კითხვაზე პასუხი ვიპოვე „კომუნისტის“ იმავე ნომერში მოთავსებულ წერილში, სადაც ლაპარაკია სახელოვანი მაღაროელის ამხ. ალექსი სემიოლოსის მუშაობის ახალ მეთოდზე.

დავფიქრდი და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ვიმუშაო რამდენიმე სანგრევში, როგორც ამხ. სემიოლოსი მუშაობს. სამეურნეო-ტექნიკური და პარტიული ხელმძღვანელები ბევრს დამეხმარნენ ამ ამოცანის განხორციელებაში.

და აი, 7 აგვისტოს ჩავედი შახტის პირველ უბანში ხუთ სანგრევში სამუშაოდ. პირველად დავიწყე დასავლეთის ფრთის სანგრევების დაბურღვა, შემდეგ აღმოსავლეთი ფრთის ბურღვა. ყველა ბურღვა ერთ-ერთ ჰორიზონტზე ერთ — ოდენ. სუფთავი სანგრევები [illegible] გაბურღულ [illegible] ბურღვა. [illegible] ბურღვა. [illegible] ბურღვა.